თამარ ჭუმბურიძე

ქრისტიანულ სიწმიდეთა კვლევანი (მიქაელ ჰესემანი)

ქრისტიანული რელიქვიები ყოველ ეპოქაში აღძრავდნენ ადამიანში მოწიწებას, შიშსა თუ იმედს, მათ მიეწერებათ ცხოველმყოფელი ძალა, განკურნების უნარი. მათზე იქმნებოდა მითები, ლეგენდები, მათ მოსაძიებლად ან ჩამოსატანად ეწყობოდა ჯვაროსნული ლაშქრობები, ისინი ქმნიდნენ ისტორიას. ქრისტეს კვართი, გრაალის თასი, ჯვრის ძელი, სუდარა თუ სხვა რელიქვიები აინტერესებდათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა: იმპერატორებს და მეფეებს, კარლოს დიდს, ნაპოლეონს, ჰიტლერს. . . ისინი ასაზრდოებდნენ პოეტებისა და მხატვრების, მეცნიერებისა თუ მისტიკოსების ფანტაზიას. დღესაც კი, როცა ყველაფერს პრაგმატული და მეცნიერული თვალით დაუწყეს ყურება, ამ სიწმინდეებს თავისი იდუმალება არ დაუკარგავთ.

ქრისტიანული ერების ისტორია, ხელოვნება და ლიტერატურა მჭიდროდაა დაკავშირებული თითოეულ ასეთ რელიქვიასთან, ამიტომაც მათი კვლევა მეტად მნიშვნელოვანია და ფასეული, ამავე დროს ეს ძალზე საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმეა. ამიტომაც საინტერესოა ის სამეცნიერო ლიტერატურა, რაც ამასთან დაკავშირებით იწერება და გამოიცემა.

ამჯერად ჩვენ გვინდა შევეხოთ ერთ-ერთი გერმანელი ავტორის – მიქაელ ჰესემანის – ნაშრომებს, რომლებიც სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება და იმდენად პოპულარულია, რომ საერთაშორისო ბესტსელერებადაა აღიარებული.

მიხეილ ჰესემანი დაიბადა 1964 წელს. იგი გეტინგენის უნივერსიტეტში სწავლობდა კულტურის ანთროპოლოგიას, ისტორიას, გერმანისტიკას, ჟურნალისტიკას. დღეს იგი დიუსელდორფსა და რომში ცხოვრობს, არის Vatican Magazin-ის თავისუფალი თანამშრომელი, ამავე დროს Rave the Way Foundation-ის წევრი, საზოგადოებისა, რომელიც ებრაელებისა და კათოლიკე ქრისტიანების შერიგებაზე ზრუნავს. თავიდან მიხეილ ჰესემანმა პაპის მეცნიერებათა აკადემიის ნებართ-

ვით დაიწყო ძველი ქრისტიანული სიწმინდეების, კერძოდ ჯვრის წარწერების შესწავლა. ეკლესიის ისტორიისა და ქრისტიანული რელიქვიების შესწავლით მან ისე გაითქვა სახელი, რომ საშუალება მიეცა ემუშავა ვატიკანის საიდუმლო არქივში. მრავალი სატელევიზიო ფილმის გადაღებისას იგი მიწვეული იყო ექსპერტად. 1998-2000 წლებში მიხეილ ჰესემანი აკრედიტირებულ ჟურნალისტად ახლდა ტურინის სუდარის გამოფენებს, ჩატარებული აქვს გამოკვლევები ოვიდეოს სუდარის ისტორიის შესასწავლადაც. მას 32 წიგნი აქვს გამოქვეყნებული, რომლებიც 14 ენაზეა თარგმნილი, მათ შორის „გოლგოთის უტყვი მოწმეები", „ტურინის სუდარის კვალდაკვალ", „მარიამ ნაზარეველი" და სხვა. საერთოდ მისი წიგნების 2 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული.

„გოლგოთის უტყვი მოწმენი" 2000 წელს გამოიცა. ესაა ქრისტეს რელიქვიების ძიების ისტორია, რომლებშიც ცალ-ცალკე თავები ეძღვნება ჯვრის ძელს, სამსჭვალებს, ეკლის გვირგვინს, ხელთუქმნელ კვართს, ვერონიკას სუდარას და სხვა სიწმინდეებს. სულ 12 თავია, ახლავს ბიბლიოგრაფია და შენიშვნები. წიგნის თავფურცელზე ავტორის მიძღვნაა: „ამ წიგნს ვუძღვნი მის უწმინდესობას იოანე-პავლე II-ს იმ იმედით, რომ ამით ახალი კარი გაიღება რელიქვიების მეცნიერულად კვლევის საქმეში და გოლგოთის უტყვი მოწმეები ამეტყველდებიან."

„ქრისტიანულ ეკლესიებში, სადაც განსაკუთრებით ბევრი მომლოცველი ჩადის, არის გარკვეული ადგილები, რომლებიც ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის დაფარული რჩება. სასულიერო პირების მცირე ნაწილმა თუ იცის საიდუმლო გზები, რომლებიც მათკენ მიდის და ასე თუ შეუღწევიათ შიგნით. წმინდა პეტრეს ტაძრის უზარმაზარი გუმბათის ქვეშაც კი არის ასეთი დაფარული ადგილები (თუმცა 2000 წელს აქ 20 მილიონზე მეტი მლოცველი ჩავიდა). აქ ოთხი სამლოცველოა, რომლებიც არც ერთ რუკაზე არ არის აღნიშნული. მხოლოდ წელიწადში ერთხელ ხსნიან მათ კარს მლოცველებისათვის, რომ 40 მეტრის სიშორიდან შეიხედონ და ისიც რამდენიმე წუთით, რათა იგრძნონ მათი მისტიკური სხივი." ასე იწყება მ. ჰესემანის წიგნის შესავალი. ეს სიწმინდეები იესოს წამების მოწმეებია, ფიზიკური მოწმეები ნაზარეველის ტანჯვის, სიკვდილის და მკვდრეთით აღდგომისა. როგორც ავტორი აღნიშნავს, მათ შესახებ ნამდვილი გადმოცემები და ლეგენდები ერთმანეთშია არეული და კვალი კიდევ უფრო აბნეულია. „რამდენადაც მეტია მათი როლი ევროპული ხელოვნებისა და ეკლესიის ისტორიაში, მით ნაკლები ვიცით მათ შესახებ", წერს მიქაელ ჰესემანი და ცდილობს თავის წიგნში თითოეული რელიქვიის საიდუმლოს ჩაწვდეს. პირველ რიგში იგი დაინტერესებულია ქრისტეს ჯვრის ძელის

რეკონსტრუქციით, მაგრამ ასევე სხვა რელიქვიებითაც. „ერთ ისტორიულ ეპოქას, როცა ჩვენ ყველაფერი გვწამდა (შუა საუკუნეები), მოჰყვა მეორე, როცა ჩვენ აღარაფერი გვწამდა (განმანათლებლობა). თეზა, ანტითეზა, ახლა კი სინთეზის დროა," აღნიშნავს ავტორი და პავლე მოციქულის სიტყვებს იშველიებს: „ყველაფერი გამოსცადეთ, მისდიეთ კეთილს" (1 თეს. 5, 21). სწორედ ესაა ამ წიგნის მიზანი: გაჰყვეს რელიქვიების ისტორიას და გამოიძიოს. როგორც ქალკედონის კრებამ გამოიძია და დაადასტურა 451 წელს, რომ იესო სრული ადამიანი იყო და სრული ღმერთი. და რაკი ადამიანიც იყო, ესე იგი ისტორიადაც იქცა და კვალიც დატოვა. ამ კვალს მიჰყვება მიხეილ ჰესემანი. იგი იწყებს სამეცნიერო მოგზაურობას და იწყებს ისტორიული იესოს კვლევას, განიხილავს ცნობებს და გადმოცემებს მისი ცხოვრების შესახებ, სახარებებს, ისტორიულ ცნობებს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ მასალებს.

ჰესემანისათვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი რელიქვიებია სუდარა, რომელშიც ქრისტე იყო გახვეული ჯვარცმის შემდეგ და ის ტილო, რომელიც მას ჯვარცმისას თავზე ჰქონდა შემოხვეული. თავის წიგნში „ქრისტეს სუდარა" ქვესათაურით „მეცნიერები ჯვარცმის კვალდაკვალ" იგი ესპანეთში, ოვიდეოში დაცულ სახვევს იკვლევს, რომელსაც მე-8 საუკუნიდან მოყოლებული თაყვანს სცემენ. ბუნებრივია, ამ დროს იგი თავისი კვლევებით იტალიაში, ტურინში დაცულ სუდარასაც ეხება და მისი წარმოშობის შესახებაც მსჯელობს. მეცნიერი ანტიკური წერილობითი ძეგლების საფუძველზე იკვლევს, რა გზით მოვიდა ეს ორი წმინდა სახვევი იერუსალიმიდან ესპანეთსა და იტალიაში და თავისი გამოკვლევებით განამტკიცებს კვლევის ძველ შედეგებს: ორივეზე სისხლის კვალია, ხოლო მცენარეების მტვრის ნარჩენებიც იდენტურია და დასტურდება, რომ ისინი მხოლოდ წინა აზიაში გვხვდება. ეს საბუთები ეჭვქვეშ აყენებს ტურინის სუდარის დათარიღებას მე-14 საუკუნით.

უახლესი გამოკვლევების საფუძველზე, ორივე ტილოზე ძველი სისხლის კვალის ლაბორატორიული შესწავლით, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით და ჯვარცმის ინსცენირებით შესაძლო გახდა მიახლოებით აღედგინათ, როგორ უნდა მომხდარიყო ქრისტეს წამება, ჯვარცმა და გარდამოხსნა. მიქაელ ჰესემანი კარგად იცნობს იუდაური დაკრძალვის ცერემონიებსაც რომაულ ხანაში და ეს ცოდნაც დაეხმარა მას. ამ ორი წმინდა სუდარის საფუძველზე ერთ-ერთმა ესპანელმა მეცნიერმა ბიუსტი-პორტრეტიც კი შექმნა, როგორ გამოიყურებოდა ძე ღვთისა.

როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, ეს წიგნი 10 წლის კვლევის შედეგია. მასში დაწვრილებითაა აღწეილი ჰესემანის მიერ გავლილი გზა, გაჩერების ადგილები, საუბრები ეპისკოპოსებთან, მეცნიერებთან, საერო და სასულიერო პირებთან, აღწერილია რელიქვიების კურთხევის ცერემონიალი ოვიდეოში, წყაროები, რომლებშიც ნახსენებია Acta Santa. განსაკუთრებით დაწვრილებით გადმოსცემს ავტორი თავის შეხვედრებსა და საუბრებს ოვიდეოს არქიეპისკოპოს კარლოს ოსოროსთან და პროფესორ ხუან მანუელ მინარო ლოპეზთან, ასევე ამ უკანასკნელის კვლევის შედეგებს, ყველაზე დიდ ადგილს კი უთმობს სუდარის მიხედვით აღდგენილ იესოს გამოსახულებას. ქრისტეს გამოსახულებებიდან ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: ერთი ძალიან ახალგაზრდა იესოსი, მეორე კი, ადრე რომაული – მხრებამდე ჩამოშლილი, შუაზე გაყოფილი თმით, ორად გაყოფილი წვერით, მაღალი შუბლით და თხელი ცხვირით. ეს უნდა იყოს, ჰესემანის ვარაუდით, უძველესი ტიპი. ამას ედესის ხატიც მოწმობს, რომელიც დღესდღეობით ვატიკანშია დაცული და მე-3 საუკუნით თარიღდება. იესოს ერთ-ერთი ყველზე ლამაზი გამოსახულება სან პიეტრო მარჩელინოს კატაკომბებშია და მე-4 საუკუნით თარიღდება. მისი პროპორციები, თვალების სიდიდე, თხელი ცხვირი და ტუჩები, ტალღოვანი შუაზე გაყოფილი თმა სწორედ სუდარაზე გამოსახული მამაკაცისა უნდა იყოს. მთავარი კი, ჰესემანის აზრით, ისაა, რომ ქრისტიანულ იკონოგრაფიას ერთი საერთო ნიშანი უნდა ჰქონოდა და ეს საერთო ნიმუში ემთხვევა პროფ. მინაროს მიერ აღდგენილ გამოსახულებას. მიქაელ ჰესემანი უფრო შეკითხვის სახით გვთავაზობს თავის ვარაუდს: ხომ არ შეიძლება, რომ ტურინის სუდარის გამოსახულება იყოს იესოს პირველი ხელთუქმნელი ხატი? მაშინ ტურინისა და მასთან ერთად ოვიედოს სუდარაც (სახვევიც) თითქმის 2000 წლისა გამოდიან.

ავტორი დაწვრილებით აღწერს თავისი გრძელი გზის სადგურებს, ზედმიწევნით ზუსატად გადმოსცემს თანამოსაუბრეების ნააზრევს, დიალოგების შინაარსს, მაგრამ დაწვრილებითი განმარტებებისაგან და სქოლიოებისაგან თავს იკავებს, რათა მკითხველს საქმე გაუიოლოს და კითხვისას სიამოვნება არ დააკარგვინოს. „ჩემი მიზანი იყო ისეთი წიგნის დაწერა, რომელიც ადვილად წასაკითხი და ყველასათვის გასაგები იქნებოდა, და რომელიც მკითხველთა ფართო წრეს დააინტერესებდა წმინდა სახვევების საიდუმლოთი."

ახლახანს, 2011 წელს, მიქაელ ჰესემანმა ახალი წიგნი გამოსცა „მარიამ ნაზარეველი. ისტორია, არქეოლოგია, ლეგენდები." სახარებებში მარიამ ღვთისმშობელზე ძალზე მწირი ცნობებია. ამიტომ ავტორი მიმართავს აპოკრიფებს, ადრექრისტიანულ და ებრაულ არაკანონიკურ

წიგნებს. ამ კუთხით მეტად მნიშვნელოვანია „მარიამის დაბადება – იაკობის გამოცხადება", რომელიც მე-16 ს-დან მოყოლებული ცნობილია სახელით Protoevengelium des Jakobus (ცნობილია ამ ტექსტის თარგმანები სირიულ, სომხურ, ქართულ, ეთიოპურ, ლათინურ ენებზე).

იაკობის სახარება დაწვრილებით აღწერს მარიამის დაბადებას, აღნიშნავს ჰესემანი. მამა იოახიმი ძალზე განიცდიდა, რომ შვილი არ ეძლეოდა მეუღლე ანასაგან. ამის გამო მან 40 დღე იმარხულა უდაბნოში. ადგილის მისათითებლად, თუ სად იმარხულა იოახიმმა, ჰესემანს მოხმობილი აქვს მე-5 საუკუნის ქართული ლექციონარი, რომელიც ამ ადგილად კოშიბას მღვიმეს ასახელებს იუდას უდაბნოში. ჰესემანი მოგვითხრობს მარიამის ცხოვრების შინაარსს, მარკო პოლოს მონათხრობს თავისი მოგზაურობის შესახებ, მაგ., სპარსეთის ქალაქ სავაში როგორ უჩვენეს მოგვების – ბალთაზარის, მელქიორისა და კასპარის საფლავები, რომლებმაც „13 დღის ბავშვი" მოინახულეს და მას ძღვენი მიართვეს. ჰესემანი დაწვრილებით იხილავს წმინდა ოჯახის ეგვიპტეში გაქცევის ეპიზოდს, აღწერს მარშრუტს. მას განხილული აქვს ცალკეული ეპიზოდები მარიამის პიროვნებასთან დაკავშირებით. ჰესემანს მეტად საყურადღებოდ მიაჩნია, რომ ადრექრისტიანულ ტრადიციაში მარიამს ვხვდებით ჯვარცმის ეპიზოდებში. იესო მარიამს აბარებს იოანეს, ყველაზე ახალგაზრდას მოციქულთა შორის. ეს, ავტორის აზრით, ახალი ეკლესიის დასაწყისია, რომელიც განუყოფელია ღვთისმშობლისაგან. ახალი აღთქმის ბოლო წიგნში, იოანეს გამოცხადებაში, გვხვდება მარიამის გამოცხადება, როგორც მზის შარავანდედით მოსილი ქალისა.

ადრექრისტიანულ კულტურებში მრავლად გვხვდება მარიამის კულტის ამსახველი ფრესკები და დოკუმენტები, მაგ., რომის ჩრდილოეთით, უძველეს კატაკომბებში, ასევე 1917 წელს აღმოჩენილ ეგვიპტურ პაპირუსზე, რომელიც მე-3 საუკუნით თარიღდება და რომელზეც მარიამისადმი მიძღვნილი უძველესი ლოცვაა დადასტურებული.

ამრიგად, მიქაელ ჰესემანი იტალიაში, თურქეთში, ეგვიპტეში, ისრაელში მოგზაურობისას ეძებს მარიამ ღვთისმშობლის კვალს, იკვლევს აპოკრიფულ ლიტერატურას, არქეოლოგიურ წყაროებს და ცდილობს ამ სახით აღადგინოს მარიამ ნაზარეველის ისტორიული სახე. სპეციალური აღნიშვნის ღირსია ჰესემანის სხვა წიგნებისთვისაც დამახასიათებელი თხრობის ძალდაუტანებელი სტილი და სადა ენა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ქმნის ამ ნაწარმოებს.

ცხადია, ჩვენ არ გვიცდია განგვეხილა და შეგვეფასებინა მიქელ ჰესემანის შრომები. ჩვენი მიზანი იყო, ქართველი მკითხველისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია ამ საინტერესო წიგნებზე და მათ ავ-

ტორზე. გვსურს აღვნიშნოთ, რომ ავტორი ძალზე დიდ ინფორმაციას და ცოდნას ფლობს ამ საკითხებთან დაკავშირებით. ქართული წყაროებიც არის დასახელებული მისი ბიბლიოგრაფიის მრავალრიცხოვან ჩამონათვალში, თუმცა სასურველი იქნებოდა, ავტორი კიდევ უფრო უკეთ ყოფილიყო ინფორმირებული არა მარტო ქართული წყაროების, არამედ საქართველოში დაცული სიწმინდეების შესახებაც. ბუნებრივია, ქართულ ენაზე გამოსული მასალა ნაკლებად არის ხელმისაწვდომი უცხოელი მკვლევარებისათვის. ამიტომ განსაკუთრებული სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ელდარ ბუბულაშვილის წიგნი საქართველოს ეკლესიის სიწმინდეებზე ახლა უკვე ინგლისურ ენაზეც გამოვიდა: Eldar Bubulashvili, Holy Relics Of The Church Of Georgie, Publishing House AKHALI IVIRONI, Tbilisi 2011.

იმედი გვაქვს, მომავალში ამ სახის სხვა მეცნიერული თუ პოპულარული ნაშრომიც გამოიცემა რომელიმე ევროპულ ენაზე, რათა საქართველოში დაცული სიწმინდეები უკეთ გახდეს ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

REVIEW ARTICLES

Tamar Chumburidze

Studies of Christian Relics (Michael Hesemann)

History, art and literature of Christian nations are closely related to Christian relics. Their study is thus very important and valuable. In this regard, publications by the German author, Michael Hesemann, which have become international bestsellers, deserve special attention. These are *The Blood Cloth of Christ, Maria from Nazareth. History, Archaeology, Legends (Maria von Nazareth, Geschichte, Archäologie, Legenden), The Silent Witnesses of Golgotha, (Die stummen Zeugen von Golgotha).* This paper aims to communicate information on these interesting books and their author to Georgian readers.

Nino Abakelia

Talal Asad on the Construction of Religion as an Anthropological Category

The present article aims to introduce to the scholarly community as well as to the general public the distinguished anthropologist Talal Asad, currently a professor at the Graduate Center of New York City University, who studies relationships between religion and power from a comparative perspective.This paper reviews Asad's essay *The Construction of religion as an anthropological category*, which is a constituent part of his monograph Genealogies of Religion (Asad 1993), and which reveals some of his thoughts and reflections on the essentialist definitions of religion.

In thisessay Talal Asad critically analyzes the definition of religion by the famous American anthropologist, Clifford Geerz , in which, according to him, the most important dimensions of power and changing social conditions, which entail change in whatever is related,are ignored. The article demonstrates how Talal Asad's analysis is focused on some important questions, such as the concept of symbol as a clue to the essence of religion, the reading (interpretation) of symbols in the analyzed practice, the construction of religion in early modern Europe, religion asmeaning and religious meanings, and anthropological concepts in general.